



# უფლებადამცველთა უფლებები

ადამიანის უფლებათა საქმიანობის  
დაცვის და გაძლიერების  
პრინციპები და სტანდარტები



●	კოზიტიური ნარბივის გაძლიერება	3
●	საჯაროდ დაუჭირეთ მხარი უფლებადამცველებს	7
●	ნუ მოახდენთ უფლებების დაცვის კრიმინალიზებას	9
●	შეწყვიდეთ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე შეზღუდვები	11
●	პატივი ეცით არასამთავრობო ორგანიზაციის დამოუკიდებლობას	13
●	თავი აარიდეთ რეგისტრაციისა და იურიდიულ შეზღუდვებს	15
●	შეწყვიდეთ ნებისმიერი ფორმის რეპრესია	17
●	შეწყვიდეთ უკანონო დაკავება და დაპატიმრება	19
●	ბაიოვალისწინეთ კრიტიკული მოსაზრებები	21
●	უზრუნველყავით მედიაზე წვდომა და მედიის არჩევის თბვისუფლება	23
●	ხელი შეუწყეთ მშვიდობიან საკროტესტო აქციებს	25
●	იბრძოლეთ დაუსაქლობის წინააღმდეგ, იყავით ანგარიშგაღებულნი	27
●	გაზარდეთ ბიზნესის პასუხისმგებლობა	29
●	დაიცავით უფლებადამცველი ქალები	31
●	დაიცავით უფლებადამცველი იურისტები	33
●	დაიცავით უმცირესობებთან დასცველები	35
●	დაიცავით უფლებადამცველების ოჯახის წევრები	37
<hr/>		
●	საერთაშორისო სტანდარტები რეზოლუციებში	38
●	საერთაშორისო სტანდარტები 20 წლის შემდეგ	40

“უფლებადამცველთა უფლებების“ მიზანია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და გავრცელება, ასევე ამ სტანდარტების მთავარი მიზნის და შინაარსის განმარტება. ეს ბუკლეტი, რომელიც შეიქმნა ადამიანის

უფლებათა სახლის ფონდისა და ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ამ სტანდარტების და პრინციპების ეროვნულ დონეზე დანერგვას. “

# პოზიტიური ნარატივის გაძლიერება

უფლებადამცველები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობენ საზოგადოების განვითარებისთვის. მათ დიდი წვლილი შეაქვთ მშვიდობისა და დემოკრატიის მშენებლობაში. უფლებადამცველთა შრომას მოაქვს პოზიტიური ცვლილებები და განვითარება. ისინი მთავარ როლს ასრულებენ ადამიანის უნივერსალური უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში.

„მამინ, როცა უფლებადამცველებს თავს ესხმიან, ძალადობენ მათზე და მათ სტიგმატიზაციას ახდენენ მთელ მსოფლიოში ... ჩვენ პატივისცემა უნდა გამოვხატოთ იმ ათასობით ადამიანის მიმართ, რომელთა წინაშეც ვალში ვართ,“ - განაცხადა უფლებადამცველთა საკითხებში გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა მიშელ ფორსტმა.

დიახ, უფლებადამცველთა მისამართით ხშირად ისმის მუქარა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ისინი სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებიან შეურაცხყოფის, თავდასხმის და მათ მიმართ წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების ობიექტები. ასეთი შემლუდებები გვხვდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. როგორც სახელმწიფო მოხელეები, ისე სამოქალაქო პირები ხშირად ცდილობენ შელახონ უფლებადამცველთა პრესტიჟი და ისინი სახელმწიფოს მტრის როლში გამოიყვანონ. უფლებადამცველთა წინააღმდეგ იყენებენ სისტემურ და მზარდ შემლუდებებს მათ ძირითად უფლებებზე, მათ შორის - უცხოურ დაფინანსებაზე.

ადამიანის უფლებათა სახლის ფონდს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია შეიცვალოს ასეთი მიდგომა და გაიზარდოს უფლებადამცველთა უფლებების თაობაზე შექმნილი საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ცნობიერება; დაინერგოს ისინი ეროვნულ დონეზე, რაც უფლებადამცველებს დაიცავს და დაეხმარება. უფრო მეტიც, საჭიროა ჩატარდეს სამუშაოები იმისთვის, რომ აღარ არსებობდეს უფსკრული შეთანხმებულ ნორმებსა და ქვეყნის შიგნით არსებულ რეალობას შორის. არსებული ვითარება კი არის ის, რომ მანამ, სანამ უფლებადამცველთა მდგომარეობა უარესდება, მათი დამცავი საერთაშორისო სტანდარტები სულ უფრო და უფრო უმცობესდება. 2013 წლის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღეს. გაერო-მ, კონსესუსის საფუძველზე, 2017 წელს მიიღო რეზოლუცია, რომლის მთავარი მიზანიც უფლებადამცველების განსაკუთრებული როლის და საქმიანობის აღნიშვნაა.

ეს ტენდენციები, რა თქმა უნდა, ურთიერთკავშირშია: რაც უფრო იზრდება მუქარისა და შემლუდებების რაოდენობა, მით უფრო დიდია საჭიროება, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მათზე რეაგირება მოახდინოს, რაც საბოლოო ჯამში უფლებადამცველების დაცვის სტანდარტებისა და პრინციპების ფორმას იღებს.

ხშირია შემთხვევები, როცა სახელმწიფოები საერთაშორისო დონეზე, დეკლარირებულად მხარს უჭერენ უფლებადამცველების დამცავ რეზოლუციებს, ეროვნულ დონეზე კი უფლებადამცველთა საქმიანობას მაინც ზღუდავენ. საერთაშორისო სტანდარტების ქვეყნის შიგნით გადატანა ის მთავარი გამოწვევაა, რაც კვლავაც რჩება ადამიანის უფლებათა სახლების ქსელისა და ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის საქმიანობის ძირითად ქვაკუთხედად.

„მე ღრმა პატივს ვცემ უფლებადამცველების სიმამაცეს და მათ მიერ გაღებულ მსხვერპლს. ეს ადამიანები და ორგანიზაციები არიან ჩვენი თვალები, ყურები და სინდისი,“ - გაერო-ს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერესი.

2017 წლის რეზოლუცია ქმნის უფლებადამცველების დაფასების საფუძველს, მაგრამ ის ასევე არის შესაძლებლობა იმისთვის, რომ განვიხილოთ მათი დაცვის შესაძლებლობები და უფრო უკეთ შევასრულოთ ისინი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს არის შანსი, რომელსაც უფლებადამცველები და სამოქალაქო საზოგადოება ორივე ხელით უნდა ჩაეჭიდოს.

კონსესუსით მიღწეული არჩევანი უზრუნველყოფს საერთაშორისო და ადგილობრივი აქტივობების მნიშვნელოვან ლეგიტიმაციას უფლებადამცველების საქმიანობის მხარდასაჭერად, მათ შორის იმ მთავრობებთანაც, რომლებიც, შესაძლოა, მტრულად იყვნენ

განწყობილი ამ საკითხის მიმართ. სხვანაირად რომ ვთქვათ, უფლებადამცველთა საქმიანობას ახლა ეროვნულ დონეზე უნდა ჰქონდეს უფრო დიდი მხარდაჭერა, რადგან საერთაშორისო დონეზე რეზოლუციას მხარი ყველა მთავრობამ დაუჭირა.

### **ამ ბუკლეტის გამოყენება**

საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება ეფექტიანი რომ იყოს, მნიშვნელოვანია უფლებადამცველები საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულები იყვნენ.

ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის მიზანია, ამ ბუკლეტის მეშვეობით, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ცნობიერების გაზრდას. ეს არის საშუალება იმისთვის, რომ უფლებადამცველებმა ეროვნულ დონეზე გაავრცელონ სტანდარტები, ჩართონ ხელისუფლებები ამ პროცესში და მოსთხოვონ მათ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბუკლეტი დაყოფილია 16 სტანდარტად. ამ სტანდარტების ინსპირაციის წყარო არის უფლებადამცველებთან და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რეზოლუციები.

ბუკლეტის მთავარი მიზანია განმარტოს თითოეული სტანდარტის ძირითადი ასპექტები.

ეს ნათელი და ხელმისაწვდომი სტანდარტები დაეხმარება უფლებადამცველებს უკეთ გაიგონ მათ მიმართ არსებული მხარდაჭერის არსი და შექმნან დამხმარე ინსტრუმენტები ცნობიერების ამაღლების კამპანიებში. ეს სტანდარტები ასევე დაეხმარება უფლებადამცველებს ეროვნულ დონეზე ადვოკატირებაშიც. ბუკლეტი მიმოიხილავს და აანალიზებს სტანდარტების შინაარსს, მიზანს და შესრულების

მექანიზმს. ის ინსპირირებულია ისეთი თანამედროვე ექსპერტების მიერ, როგორებიც არიან გაერო-ს სპეციალური მომხსენებლები და ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის და ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის ექსპერტები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპაში, ბალკანეთსა და კავკასიაში. რაც შეეხება შინაარსს, ბუკლეტი ხაზს უსვამს იმ ტენდენციას, რომელიც გავლენას ახდენს თითოეულ სტანდარტზე და წარმოადგენს მათი განხორციელების მიზნით შექმნილ რეკომენდაციას.

მნიშვნელოვანია გავისხენოთ ის ვალდებულებები, რომლებიც ამ სტანდარტების განხორციელების მიზნით თავად სახელმწიფოებმა განერეს. ამასთან, მნიშვნელოვანია გავხადოთ მთავრობა ანგარიშვალდებული, რათა ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.

უფლებადამცველებს, და არა მარტო მათ, შეუძლიათ გამოიყენონ ეს ბუკლეტი და შეახსენონ სახელმწიფოებს, როგორი იყო მათი პოზიცია მაშინ, როცა საერთაშორისო საზოგადოება უფლებადამცველების თაობაზე შექმნილ რეზოლუციებზე მუშაობდა: წვლილი შეიტანეს მის შექმნაში, მხარი დაუჭირეს, თავი შეიკავეს მხარდაჭერისგან თუ მხარი არ დაუჭირეს.

ეს ბუკლეტი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ შეიქმნას მოკლე ცხრილი, სადაც აისახება კენჭრისყრის დროს სახელმწიფოების მიერ გამოხატული პოზიციები. აქედან ნათლად ჩანს, როგორ იმოქმედეს ქვეყნებმა უფლებადამცველებთან მიმართებაში საერთაშორისო დონეზე ყველაზე მნიშვნელოვანი რეზოლუციების მიხედვით და ასეთი ცხრილი ხელს შეუწყობს სახელმწიფოების მიერ აღებული, ან არაღებული ვალდებულებების გასაჯაროებას.

სტანდარტი განიხილავს როგორც პოზიტიურ ვალდებულებას

(აქტივობას), ასევე ნეგატიურ ვალდებულებას (აქტივობისგან თავის შეკავებას). ისინი მწვანე ან წითელი ფერითაა აღნიშნული, რათა აღნიშნული ვალდებულებები თვალსაჩინო გახდეს.

ამ სტანდარტების გამოყენებით დაინტერესებულები იქნებიან სამოქალაქო პირებიც, რადგან უფლებადამცველების საქმიანობასთან და ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან, მტრულ გარემოსთან შეხება, შესაძლოა, ყველას მოუწიოს.

### **ვინ არის უფლებადამცველი?**

უფლებადამცველები არიან ის ადამიანები, რომლებიც მშვიდობიანი გზით და დისკრიმინაციის გარეშე იცავენ ადამიანის უფლებებს. უფლებადამცველებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვადასხვა სტრუქტურირებულ თუ არასტრუქტურირებულ ჯგუფებსა და ორგანიზაციებში - მაგ. ასოციაციებში ან ფონდებში. უფლებადამცველის იდენტიფიცირება ხდება არა პროფესიის და სამსახურის ადგილის, არამედ საქმიანობის შინაარსობრივი მხარის მიხედვით. ზოგიერთი უფლებადამცველი პროფესიონალია - მაგალითად, უფლებადამცველი, ადამიანის უფლებების დამცველი ადვოკატი, ჟურნალისტი ან პროფკავშირების თანამშრომელი. ხშირად უფლებადამცველები ადამიანის უფლებების დაცვითი საქმიანობიდან შემოსავალს არ იღებენ.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში აქტიური უფლებადამცველები ძირითადად მუშაობენ ადგილობრივ, ეროვნულ დონეზე. ისინი იცავენ ადამიანის უფლებებს საკუთარ თემსა და ქვეყანაში. ზოგი მათგანი თანამშრომლობს ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადვოკატირებას უწევს სხვადასხვა საკითხებს



ფოტო: უფლებადამცველები ადამიანის უფლებათა სახლების ქსელიდან შეიკრიბნენ ოსლოში

საერთაშორისო დონეზე - გაეროში, ევროკავშირსა თუ ევროსაბჭოში. უფლებადამცველებს აქვთ უფლება, რომ საკუთარი საქმიანობა განახორციელონ შეზღუდვის გარეშე და ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებული დაცვის ქვეშ. ეს გულისხმობს ყველა უფლებაზე მუშაობას და მუშაობის სასურველი მეთოდის არჩევას, იქნება ეს ადამიანის უფლებების დაცვისთვის ადვოკატირება მშვიდობიანი პროტესტის გზით თუ სოციალური მედიის გამოყენებით, უფლებადაცვითი ორგანიზაციების შექმნით, იურიდიულ საქმეებზე მუშაობით თუ სხვა არაძალადობრივი საშუალებებით. ეს უფლება გამოხატვის, გაერთიანებისა და შეკრების ფუნდამენტური უფლების გარდა მოითხოვს სხვა ისეთი უფლებების დაცვას, რომლებიც

განერილია და დამატებით განხილულია ამ ბუკლეტში წარმოდგენილ სტანდარტებში.

**დამატებითი რესურსები**

ეს ბუკლეტი მომზადდა ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის და ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის ერთობლივი კამპანიის ფარგლებში, რათა ხელი შეუწყოს უფლებადამცველების მუშაობას და მათი დაცვის, გაძლიერების და ხელშეწყობის სტანდარტების დანერგვას. ადამიანის უფლებათა სახლის ფონდმა მოამზადა დამატებითი ვიზუალური მასალები სტანდარტებისა და დანართების სახით, რომლებიც უფრო სიღრმისეულად აღწერს რეზოლუციებს. ეს მასალები და აღნიშნული ბუკლეტის გადმოსაწერი ლინკი, სიახლეებთან და ადამი-

ანის უფლებათა სახლების ქსელისა და ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის საქმიანობების შესახებ მიმოხილვასთან ერთად გამოქვეყნდება humanrightshouse.org-ზე. კამპანიის ფარგლებში ადამიანის უფლებათა სახლები გადათარგმნიან ამ ბუკლეტს და შესაბამის მასალებს სახელმწიფო ენებზე. აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტსივრცეში. ბუკლეტთან ან ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდით: hrh@humanrightshouse.org



# საჯაროდ დაუჭირეთ მხარი უფლებადამცველებს

პოლიტიკურმა ლიდერებმა, ასევე ბიზნესმენებმა, მედიამ და რელიგიურმა ლიდერებმა „უნდა საჯაროდ აღიარონ უფლებადამცველების მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური როლი ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის გაძლიერებაში.“ მათ ეს უნდა გააკეთონ „საჯარო განცხადებების, პოლიტიკის ან კანონების შექმნის“ გზით, „მათ შორის, საჯაროდ დაგმონ უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის და დისკრიმინაციის ყველა ფაქტი.“ ძალადობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებში, „საზოგადოების ყველა სფეროს ლიდერებმა ... უნდა ცალსახად გამოხატონ მათი უარყოფითი დამოკიდებულება მსგავსი პრაქტიკის მიმართ.“ ეს გულისხმობს „პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ და რელიგიურ ლიდერებს და ლიდერებს ბიზნესსა და მედიაში.“

- როგორც ეს განწერილია:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/ HRC/RES/22/6), OP 5.
- 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/ RES/70/161), OP 4 და OP 21.

## ანალიზი

„განცხადებები, პოლიტიკა და კანონები“ არ არის ის ყველაფერი, რაც შესაძლოა უფლებადამცველების საჯარო მხარდაჭერისთვის გაკეთდეს. მათი მიზანი უნდა იყოს, რომ შთააგონონ ლიდერებს უფლებადამცველების მხარდასაჭერად გამოიყენონ ყველა საჭირო და ხელმისაწვდომი საშუალება. უფლებადამცველების დაცვის ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, აკისრია სახელმწიფოს. მიუხედავად ამისა, საჯარო მხარდაჭერის გამოხატვის ვალდებულება ეკისრება საზოგადოების ყველა წევრს და ყველა სახელმწიფო მოხელეს. მათ ცალსახად უნდა დაგმონ უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობა და დისკრიმინაცია.

## კონტექსტი

უფლებადამცველების მნიშვნელოვანი როლის საჯაროდ აღიარება მათი დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს არის პირველი გადადგმული ნაბიჯი „მათი მისამართით არსებული მუქარის და რისკის შემცირებისკენ“, როგორც ეს ნათქვამია გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში. ამ პირველ ნაბიჯს აუცილებლად უნდა მოყვეს უფრო ღრმა მზაობა და კონკრეტული პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან, რათა შექმნას უფრო უსაფრთხო გარემო. როცა უფლებადამცველებს თავს

ესხმიან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც იცავენ ე.წ. ტრადიციულ ღირებულებებს, ძალადობის სამომავლო პრევენციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საჯაროდ გამოხატული მხარდაჭერა. იმ ქვეყნებში, სადაც უფლებადამცველები ხდებიან ცილისწამების კამპანიის სამიზნეები და სადაც მათ აცხადებენ სახელმწიფოს მტრად, საჯარო მხარდაჭერა ახდენს მათი საქმიანობის ლეგიტიმაციას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი მხარდაჭერა ამხნევეს უფლებადამცველებს და მათ საქმიანობის გაგრძელების სტიმულს აძლევს.





# ნუ მოახდენთ უფლებების დასაცვის კრიმინალიზაციას

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ „არ მოხდეს ადამიანის უფლებების დაცვის კრიმინალიზაცია და რომ უფლებადამცველებმა „შეუფერხებლად ისარგებლონ ადამიანის უნივერსალური უფლებებით.“ ყველა ადამიანის უფლება, ისარგებლოს ადამიანის საყოველთაო უფლებებით, გულისხმობს უფლებას, დაიცვა ასეთი უფლებები გაუთვალისწინებელი შემთხვევების გარეშე.

„ყველამ პატივი უნდა სცეს სხვის უფლებებს.“ უფლებადამცველებს, როგორც სხვა ადამიანებს, აქვთ უფლება ისარგებლონ უნივერსალური უფლებებით და ამ მიზნის მისაღწევად სხვებთან ერთად ითანამშრომლონ. უფლებადამცველების შესახებ კანონმდებლობა უნდა იყოს „ნათლად განსაზღვრული, განჭვრეტადი და არ ჰქონდეს უკუძალა.“

უფლებადამცველების მიმართ დანესებული შემთხვევები უნდა იყოს „კანონიერი, პროპორციული, არადისკრიმინაციული და აუცილებელი.“

- როგორც ეს განწერილია:
- უფლებადამცველების შესახებ დეკლარაციაში, 1998 წლის დეკემბერი (UN doc: A/RES/53/144).
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/22/6), OP 4, 9, 11, 11 (a), და 11 (d).

## ანალიზი

უფლებადამცველების კრიმინალიზება არის მათი დისკრედიტაციის, საბოტაჟის და მათთვის საქმიანობაში ხელის შეშლის მცდელობა, რომელიც

ხდება სამართლებრივი სისტემის გამოყენებით ან სამოგადოებრივ აზრზე მანიპულაციის გზით. ეს შეიძლება იყოს სისხლის სამართლის ბრალდებები სახელმწიფო მოხელის ღირსების დასაცავად (ცილისწამება), ტერორიზმთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონების და გამაფრთხილებელი ზომების არასწორი გამოყენება, ან ადამიანის უფლებებზე უკანონოდ მუშაობის კრიმინალიზირების მიზნით კანონის მიღება. ეს შეიძლება იყოს ასევე ყალბი ბრალდებით დაპატიმრება და სისხლის სამართლის დევნის დაწყება, საჯარო მოხელეების მხრიდან სტიგმატიზება ან სოციალური პროტესტის და სამოგადოებრივი დემონსტრაციების შემზღუდავი ზომების მიღება, როგორც ეს აღნიშნულია ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის მიერ მომზადებულ ანგარიშში.

## კონდექსტი

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მთავრობები იღებენ ისეთ კანონებს, რომლებიც ხელს უწყობს ე.წ. „პოლიტიკური საქმიანობის“ და უფლებადაცვითი საქმიანობის (აგტორიზაციის მიღებამდე) კრიმინალიზებას. მსგავსი კანონები ხშირად ბუნდოვანია და აქვთ უკუძალა, ასეთი კანონმდებლობა ვერ ახდენს დემოკრატიული განვითარებისთვის რეალური საფრთხის თავიდან არიდებას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემცველი

მუხლები ხშირად არაპროპორციულია ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში, განსაკუთრებით ის რეგულაციები, რომლებიც აწესრიგებენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. უფლებადამცველებს ხშირად აკისრებენ დაუსაბუთებელ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რათა მოხდეს მათი საქმიანობის პარალიზება და ისინი არალეგიტიმურად გამოცხადდნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი აკრიტიკებენ ხელისუფლებას. ფალსიფიცირებული ბრალდებების წაყენებით, ხელისუფლება ცდილობს უფლებადამცველთა დაპატიმრებას კანონიერი სახე მისცეს. ამის გამო უფლებადამცველებს ადამიანის უფლებების დაცვა მტრულ და რეპრესიულ გარემოში უწევთ. სახელმწიფოებმა თავი უნდა აარიდონ ისეთი ზომების მიღებას, რომელთა მიზანია უფლებადაცვითი საქმიანობის სტიგმატიზაცია და ამ საქმიანობის არალეგიტიმურად გამოცხადება, გამონწვევების შექმნა და სისხლის სამართლის წარმოების დაწყება. ამის ნაცვლად, სახელმწიფოებმა აქტიური როლი უნდა ითამაშონ ისეთი სტანდარტების დანერგვაში, რომელიც უზრუნველყოფს უფლებადამცველებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და არ აწესებს კონტროლს უფლებადამცველებსა და მათ საქმიანობაზე.



# შენწყვიდეთ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე შეზღუდვები



სახელმწიფოებმა არ უნდა დაანესონ შემლუდვები უფლებადაცვითი საქმიანობის დაფინანსების პოტენციურ წყაროებზე.

„არცერთმა კანონმა არ უნდა მოახდინოს უფლებადაცვითი საქმიანობის კრიმინალიზაცია ან დელეგიტიმაცია დაფინანსების წყაროს გამო.“ სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს „გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.“

- როგორც ეს განერილია:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/22/6), OP 9.
- 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია (UN Doc: A/RES/70/161), OP 10 (d).

## ანალიზი

არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იყვნენ თავისუფალი ფონდების მოძიების პროცესში, მსგავსად იმ რეგულაციებისა, რომელიც მოქმედებს სხვა ინსტიტუტებისთვის და სახელმწიფოსთვის, იმის მიუხედავად, ადამიანის უფლებებზე მუშაობენ ისინი თუ სხვა თემაზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ არასამთავრობოებზე მორგებული რეგულაცია, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანის უფლებებზე მუშაობენ.

დისკრიმინაციული მეთოდები მოიცავს დაფინანსებაზე წვდომის შეზღუდვას ფართომასშტაბიანი აუდიტის დანიშნული ან მძიმე ფისკალური

პროცედურების შემოღებას. დაფინანსების წყარო არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაზე ზეწოლის ინსტრუმენტი, ან როგორც მათი საქმიანობის დისკრედიტაციისა და კრიმინალიზების მტკიცებულება. სახელმწიფოებმა არ უნდა დაანესონ შემლუდვები დაფინანსების წყაროზე დონორის გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

შეკრებისა და გაერთიანების შესახებ გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა და ვენეციის კომისიამ შეიმუშავეს სტანდარტი, რომელიც ამტკიცებს, რომ დაფინანსებაზე, მათ შორის უცხოურ დაფინანსებაზე წვდომის უფლება, გამომდინარეობს გაერთიანების თავისუფლების უფლებიდან და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

## კონტექსტი

სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა იღებს შემლუდვას და სტიგმის მატარებელ კანონებს და პრაქტიკას, რომელიც აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით უფლებადაცვითი ორგანიზაციების და უფლებადამცველების დაფინანსებას უცხოური დონორებისგან, როგორც ეს აღწერილია ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის ანგარიშში - „სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსება“. 2012 წლის შემდეგ, 60-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც ახდენს უცხოური დონორების მიერ დაფინანსებული უფლებადაცვითი საქმიანობის კრიმინალიზაციას. ამ ქვეყნებს შორის არის ამერბაიჯანი,

ბელორუსი, რუსეთი, ინდოეთი და ეთიოპია. არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ეს კანონი, შესაძლოა, გავრცელდეს ისეთ ქვეყანაშიც, როგორცაა უნგრეთი. ანგარიშის - „სწეული დემოკრატიებისთვის წინააღმდეგობა ევროპაში“ წინასიტყვაობაში, ადამიანის უფლებების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი ბელორუსში უცხოური დონორების მიერ დაფინანსებაზე შეზღუდვას უწოდებს „ბერლინის ახალ კედელს“; ანგარიში გამოაქვეყნეს ადამიანის უფლებათა სახლებმა, ადამიანის უფლებათა სახლის ფონდმა და პარტიორებმა. შეკრების და გაერთიანების შესახებ გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა დაადგინა, რომ ასეთი კანონები არაა სავალდებულო, მაგრამ გამოიყენება კონტროლის, შეზღუდვის და ურჩი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე წვდომის შეზღუდვის ინსტრუმენტად. ასეთი კანონებით ხელისუფლებები ცდილობენ ჩაანაცვლონ დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოება იმ ჯგუფებით, რომლებიც ძალაუფლებაში მყოფებს დაემორჩილებიან. ასეთი რეპრესიული მექანიზმი ეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან უცხოური დონორი ორგანიზაცია ხშირად უფლებადაცვითი ორგანიზაციის დაფინანსების ერთადერთი ფინანსური წყაროა. მსგავსი შეზღუდვები აზიანებს არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობას, ავტონომიას და მუშაობის უნარს. შედეგად კი კრიტიკული ხმა წყდება.



# პატივი ეხით არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობას



სახელმწიფოებმა „სრულად უნდა აღიარონ უფლებადამცველების და სხვა სამოქალაქო აქტორების დამოუკიდებელი ხმის მნიშვნელობა,“ მათ შორის „მათი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის პატივისცემით.“ მათ „პატივი უნდა სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ უფლებადამცველების შეკრების თავისუფლების უფლება“ და „უზრუნველყონ, რომ ადამიანებზე, ჯგუფებზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე დაკისრებული ანგარიშგების მოთხოვნები არ მლუდადგენ მათ ფუნქციურ ავტონომიას.“

- როგორც ეს განერილია:
- 2017 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/RES/72/247), OP 5.
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/RES/22/6) OP 5, 8, 9.

## ანალიზი

სახელმწიფოები არ უნდა ჩაერიონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში და არ გამოიყენონ ზეწოლის ინსტრუმენტები, არ დააწესონ კონტროლი მათზე იმგვარად, რომ შეიზღუდოს მათი დამოუკიდებლობა და ავტონომია. ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზგასმით მოუწოდა ქვეყნებს უზრუნველყონ, რომ ყველა ადმინისტრაციული რგოლი პატივს სცემდეს სამოქალაქო საზოგადოების აქტორების ფუნქციურ ავტონომიას. მოთხოვნებმა და მიღებულმა ზომებმა,

შესაძლოა, გავლენა იქონიოს ორგანიზაციების შესაძლებლობაზე, თავისუფლად შეარჩიონ სამუშაო სფერო და დანიშნონ გამგეობის წევრები, დაიქირაონ თანამშრომლები საკუთარი შეხედულებისამებრ. მათ, შესაძლოა, მოსალოდნელი რეპრესიების შიშით, თვითცენზურას მიმართონ.

## კონტექსტი

სამოქალაქო საზოგადოება არის ძლიერი, რადგან ის დამოუკიდებელია როგორც სამთავრობო უწყებებისგან, ისე დონორი ორგანიზაციების მხრიდან. არასამთავრობოები დამოუკიდებლად ირჩევენ საკუთარ ხელმძღვანელებს და იმ ადამიანებს, რომლებიც მათთან თანამშრომლობენ. ეს დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია, რადგან ის განაპირობებს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას. „სახელმწიფოები ხშირად აწესებენ უფრო მძიმე რეგულაციებს ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით, ვიდრე ბიზნესისთვის, რომელსაც უფრო ლოიალურად ეპყრობიან,“ - განაცხადა შეკრებებისა და გაერთიანების შესახებ გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა. მთავრობები აწესებენ ზედმეტ რეგულაციებს, რითაც საკუთარ თავს აძლევენ უფლებას, მიიღონ მონაწილეობა არასამთავრობო

ორგანიზაციების გამგეობების წევრების შერჩევასა და ორგანიზაციების მართვის შიდა რეგულაციების შედგენაში. არ არსებობს ასეთი ზედამხედველობის საჭიროება. ასეთი რეგულაციები აზიანებს არასამთავრობო ორგანიზაციების ავტონომიას. ასეთი პროცედურები ეხმარება ისეთ ჯგუფებს, რომლებიც მხარს უჭერენ ხელისუფლების პოლიტიკას. დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების სივრცეს ნელ-ნელა სწორედ ასეთი ჯგუფები იკავებენ. ხელისუფლების მიზანიც ეს არის: ჩაანაცვლოს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოება მათდამი ლოიალური ჯგუფებით. ასეთი ჯგუფები ემორჩილებიან ხელისუფლებას და იყენებენ რა საერთაშორისო ფორუმებს, უსამართლო კონკურენციას უწევენ ობიექტურ არასამთავრობო ორგანიზაციებს. არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობაზე თავდასხმა საფრთხეს უქმნის ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვას.



# თავი აარიდეთ რეგისტრაციის და იურიდიულ შეზღუდვებს

“თუ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაციისა და დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პროცედურები არსებობს,“ ისინი უნდა იყოს „გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, მოქნილი და ფინანსურად ხელმისაწვდომი.“ კანონმდებლობა, რომელიც გავლენას ახდენს უფლებადამცველების საქმიანობაზე, უნდა იყოს „ნათლად განსაზღვრული, განჭვრეტადი და არ უნდა ჰქონდეს უკუძალა.“ მან არ უნდა შეზღუდოს არასამთავრობო ორგანიზაციების „ფუნქციური ავტონომია.“ უფლებადამცველებისთვის დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „კანონიერი, პროპორციული, არადისკრიმინაციული და აუცილებელი“ და უნდა „დაუშვას გასაჩივრების და ხელახალი რეგისტრაციის თავიდან არიდების შესაძლებლობა.“

- როგორც ეს განწერილია:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათ საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/22/6), OP 8.
  - 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია (UN Doc: A/ RES/70/161), OP 10 (d).

## ანალიზი

სახელმწიფოებს არ უნდა სჭირდებოდეთ ძალისხმევა სამოქალაქო საზოგადოების რეგისტრაციის სამართავად; მათ შეუძლიათ აღნიშნული უფლებები

გამოიყენონ, მაგრამ ეს არაა სავალდებულო. სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ჩართულობის და რეალურად მხარდამჭერი გარემოს მქონე ბევრ ქვეყანაში წინასწარი რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. იქ, სადაც ასეთი რეგულაციები არსებობს, გაერო-ს დადგენილებით, ისინი უნდა იყოს განჭვრეტადი, კანონიერი, პროპორციული, არადისკრიმინაციული, საჭირო და არ უნდა ჰქონდეს უკუძალა. უფრო მეტიც, რეგისტრაციის პროცედურები უნდა იყოს სწრაფი და არ უნდა იყოს გამოყენებული ორგანიზაციების დაფუძნებისთვის შემაფერხებელ ინსტრუმენტად. გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა უნდა იყოს რეგულირებული, რათა არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი იყვნენ იურიდიულ სტატუსის მოპოვებაზე სამართლიანი წვდომით. კანონი არ უნდა ითხოვდეს ხელახალ რეგისტრაციას. ის არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა აძლევდეს საშუალებას, რომ იყოს მდგრადი და საქმიანობა გააგრძელოს ხანგრძლივი პერიოდით.

## კონტექსტი

არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციისთვის დაწესებული პროცედურები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოების სივრცის კონტროლის საქმეში. აქედან გამომდინარე, გაერთიანების თავისუფლების

უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა უნდა იყოს შესაბამის ჩარჩოებში მოქცეული.

სახელმწიფომ არ უნდა დაადგინოს გრძელვადიანი, მძიმე ან ზედმეტად ბიუროკრატიული სარეგისტრაციო პროცესი, რადგან ამან, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტიან ფუნქციონირებას.

ზოგ ქვეყანაში, ასოციაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი განცხადების რეგისტრაციას, შესაძლოა, ერთ თვემდე პერიოდი დასჭირდეს, მაშინ, როცა ბიზნესკომპანიის რეგისტრაცია განცხადების წარდგენისთანავე ხდება.

რეგისტრაცია არ უნდა იყოს გამოყენებული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნების კონტროლის ინსტრუმენტად. ის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ორგანიზაციისთვის იურიდიული სტატუსის მისანიჭებლად. განმეორებითი რეგისტრაციის და ანგარიშგების მოთხოვნა ხშირად არ არის საჭირო და აუცილებელი. ასეთი მოთხოვნის მთავარი მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლია. გარდა ამისა, მსგავსი რეგულაციები დისკრიმინაციული და არაპროპორციულია, რადგან ბიზნესკომპანიებთან შედარებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო ხშირად მეტ და გაცილებით მძიმე მოთხოვნებს უყენებენ.





# შენწყობით რეპრესიების ყველა ფორმა



სახელმწიფოებმა „თავი უნდა შეიკავონ და უზრუნველყონ ნებისმიერი მუქარის ან ზეწოლისგან იმ ადამიანების დაცვა, რომლებიც თანამშრომლობენ, ითანამშრომლებენ ან ცდილობენ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან. უნდა დაიცვან მათი ოჯახის წევრები და გაერთიანებები.“

გაერო „მკაცრად გმობს უფლებადამცველების მიერ ადამიანის უფლებების ადვოკატირებისთვის, ანგარიშების მომზადებისთვის და უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოძიებისთვის მათი მისამართით განხორციელებულ რეპრესიებსა და ძალადობას.“ უფრო მეტიც, გაერო გმობს „სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან მუქარისა და რეპრესიის ყველა ფორმას... უფლებადამცველებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების, გაერთიანებების და ოჯახის წევრების წინააღმდეგ და მოუწოდებს სახელმწიფოებს ეფექტიანად ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.“

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ქვეყნებს, „თავი შეიკავონ უფლებადამცველების წინააღმდეგ ნებისმიერი ძალადობის და მუქარისგან და განსაკუთრებით ფიზიკური თავდასხმისგან, უკანონო დაკავებისა და სასამართლო ან ადმინისტრაციული ზეწოლისგან.“

- როგორც ეს განერიოა:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/RES/22/6), OP 14.
  - 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის

რეზოლუციაში (UN Doc: A/RES/70/161), OP 6.

- 2016 წლის მარტის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/RES/31/32), OP 5.
- 2017 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია (UN Doc: A/RES/72/247), OP 8.
- 2016 წლის იანვრის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია (2095) OP 6.1.

## ანალიზი

ეს სტანდარტი ეხება არამართო იმ მდგომარეობას, როცა უფლებადამცველები თანამშრომლობენ გაერო-სთან, ევროსაბჭოსთან ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არამედ, ზოგადად, ყველა იმ ვითარებას, სადაც უფლებადამცველები მათი საქმიანობის გამო რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან. ეს ეხება ადამიანის უფლებების ადვოკატირებას, უფლებადამცველების მიერ მომზადებულ ანგარიშებს და ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ ინფორმაციების მომზადებას. ეს სტანდარტი ეხება რეპრესიის, მუქარის, ზეწოლის, ბინძური კამპანიის და ნეგატიური აქტივობის ყველა ფორმას, რომელიც უფლებადამცველებს საერთაშორისო დონეზე აზარალებს.

## კონტექსტი

უფლებადამცველების შესახებ გაზრდილი საერთაშორისო ცნობადობა არის მათი გრძელვადიანი უსაფრთხოების მთავარი კომპონენტი. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება ხდება ხშირად უფლებადამცველებსა და მათ ნათესავებზე განხორციელებული ზეწოლისა და მუქარის მიზეზი.

არცთუ იშვიათად, ზენოლა ხდება იმ ორგანიზაციებზე, სადაც უფლებადამცველები მუშაობენ. საფრთხის ქვეშ დგება ინსტიტუციების შესაძლებლობა, მიიღონ პირველადი ინფორმაცია უფლებადარღვევის ფაქტის მსხვერპლისგან და მოწმისგან. სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მხრიდან საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება მოითხოვს დაცვის უმაღლესი დონის უზრუნველყოფას. ამ მიზნით, ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა 2016 წლის ანგარიშში შემოგვთავაზა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გააძლიერებს უფლებადამცველების დაცვას ევროსაბჭოსთან მათი კომუნიკაციის გამო დაწყებული რეპრესიების წინააღმდეგ.

სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ უფლებადამცველების წინააღმდეგ ნებისმიერი რეპრესიული ქმედებისგან და მათზე მუქარისგან. პირიქით, მათ უნდა შეუქმნან უსაფრთხო გარემო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებისთვის.



# შენწყვიტეთ უკანონო დაკავება და დაპატიმრება

„არავინ უნდა დაექვემდებაროს უკანონო პატიმრობას, დაკავებას ან გასახლებას,“ - როგორც ეს ნათქვამია გაერო-ს ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არავინ დაექვემდებაროს „შესაბამისი საპროცესო გარანტიების გარეშე დაკავებას და თავისუფლების შეზღუდვას, რაც უთანაბრდება ადამიანის კანონიერი დაცვის გარეშე დატოვებას.“

არ უნდა დააკავონ ან დააპატიმრონ უფლებადამცველები უკანონოდ - „ადამიანების ისეთი უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის გამო, როგორცაა გამოხატვის ან თავისუფალი შეკრების თავისუფლება.“

სახელმწიფოებმა უნდა „გადადგან კონკრეტული ნაბიჯები, რათა აღკვეთონ და ბოლო მოუღონ უფლებადამცველების უკანონო პატიმრობას და დაკავებას.“

- როგორც ეს განერილია:
  - 1948 წლის 19 დეკემბრის ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში (A/RES/3/217), article 9.
  - 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/RES/22/6), OP 10 (c).
  - 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/RES/70/161), OP 8

## ანალიზი

უკანონო პატიმრობა არის თავისუფლების უფლების დარღვევა, რომელიც ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს. ეს პრინციპი მოქმედებს ყველასთვის, მათ შორის იმ უფლებადამცველებისთვისაც, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გამო ზოგჯერ უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან.

გაერო-ს უკანონო დაკავების შესახებ მოქმედმა სამუშაო ჯგუფმა დაადგინა ზოგიერთ ქვეყნებში უფლებადამცველების წინააღმდეგ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მზარდი ტენდენცია. სამუშაო ჯგუფმა განაცხადა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ქვეყნებს, სადაც უფლებადამცველები ხდებიან ამ ტიპის ზეწოლის სუბიექტები.

უფრო მეტიც, როდესაც მთავრობები აკავებენ ადამიანებს „ჩვეულებრივი“ სისხლის სამართლის ბრალდებით, მაგრამ არასწორი ქვეტექსტით, ასეთი დაკავება შეფასებულია უკანონოდ. უფლებადამცველები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ასეთი ქმედებების წინაშე, ვინაიდან ზოგჯერ მთავრობები უკანონოდ აკავებენ მათ იმისთვის, რომ აღკვეთონ მათი მონაწილეობა საპროტესტო აქციებში ან შეხვედრებში.

## კონტექსტი

მთავრობები ზოგ ქვეყანაში იყენებენ თავისუფლების უკანონო აღკვეთას - წინასწარ დაკავებას და პატიმრობას - როგორც უფლებადამცველების, ჟურნალისტების და აქტივისტების წინააღმდეგ სისტემური ზეწოლის იარაღს. ეს პრაქტიკა არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და ისეთ ძირითად უფლებებს, როგორცაა გამოხატვის, შეკრების და გაერთიანების უფლება. აღნიშნული საკითხი განხილულია ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის მიერ მომზადებულ ანგარიშში - „გადამწყვეტი მომენტი აზერბაიჯანში.“

სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ახალი და გადახედონ და შეცვალონ არსებული კანონები, რათა იარსებობს სრულყოფილმა და ნათელმა საკანონმდებლო ჩარჩომ დაკავებისა და პატიმრობის შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან. გარდა ამისა, უნდა აწარმოონ კანონის აღსრულების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს თავისუფლების უფლება.



# მდიდეთ განსხვავებული შეხედულებები

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „განსხვავებული შეხედულებების მშვიდობიანად გამოხატვის უფლება.“ ამ მიზნით, თავი უნდა შეიკავონ გამოხატვის თავისუფლების კრიმინალიზებისგან და შეამცირონ სასჯელი ცილისწამებისთვის, რათა „მოხდეს მიღებული ზიანის პროპორციული და შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფა.“

- როგორც ეს განერილია:
  - 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათ საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/ HRC/RES/22/6), OP 11 და 11 (f).

## ანალიზი

უფლებადამცველებმა თავი უნდა იგრძნონ უსაფრთხოდ, დაცულად და ძლიერად, რათა გამოხატონ საკუთარი შეხედულებები ზეწოლის, თვითცენზურის და რეპრესიების შიშის გარეშე. ეს ნიშნავს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება განვითარდება.

სახელმწიფოს ლიდერებმა თავი უნდა შეიკავონ იმ ადამიანების სტიგმატიზებისგან, რომლებიც განსხვავებულ აზრებს გამოთქვამენ და აღკვეთონ თავდასხმა იმ უფლებადამცველებზე, რომლებიც გამოხატავენ განსხვავებულ შეხედულებებს. მათ ასევე მსგავსი ფაქტები სათანადოდ უნდა გამოიძიონ.

განსხვავებული შეხედულებების გამოხატვამ შესაძლოა სხვადასხვა ფორმა მიიღოს. ეს შეიძლება იყოს მშვიდობიანი პროტესტი, მედიაბოიკოტი საჯარო ღონისძიების დროს, არჩევნების ან რეფერენდუმის პროცესში. სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს უარყოფითი და პოზიტიური ვალდებულებების შესაბამისად. ესაა თავის შეკავება განსხვავებული აზრის და შეხედულების გამოხატვის უფლებაში ჩარევისგან და ისეთი ზომების მიღება, რომელიც მშვიდობიანი ფორმით დაიცავს განსხვავებული აზრის გამოხატვას.

## კონტექსტი

სახელმწიფოებში არის ტენდენცია, რომ ხელი შეუშალონ უფლებადამცველებს აზრის გამოხატვაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული აზრის გამოხატვას და როცა მათ ბრალს სდებენ კორუფციასა და ადამიანის უფლებების დარღვევებში. ამდენად, წლების შემდეგ, სახელმწიფოები იღებენ უფრო შემზღუდავ კანონებს, რომელიც ცილისწამებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას აკანონებს.

არჩევნების ბოიკოტირების შემთხვევაში, განსხვავებული შეხედულების კრიმინალიზაცია ზღუდავს დემოკრატიულ სივრცეს და მკვეთრად ამცირებს პოლიტიკური ოპოზიციის შანსებს, როგორც ეს განაცხადა გაერო-ს ადამიანის უფლებების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა ბელორუსში. ასეთი ნეგატიური ღონისძიებების სიმრავლის გამო, რომელთა შედეგადაც იზღუდება განსხვავებული მოსაზრებები, ადამიანის უფლებათა საბჭო მიესალმება ისეთ ნაბიჯებს, როგორიცაა ცილისწამების დეკრიმინალიზაცია - რომელიც „იცავს უფლებადამცველებს მშვიდობიანი აქციის გამო პასუხისმგებლობაში მიცემისგან.“

უფლებადამცველებს უნდა შეეძლოთ განახორციელონ საკუთარი საქმიანობა კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმისთვის მოსალოდნელი რეპრესიების შიშის გარეშე.



# უზრუნველყავით მედიამ თავისუფალი წვდომა და არჩევანი

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველებს ჰქონდეთ „წვდომა და გამოიყენონ საინფორმაციო ტექნოლოგიები და მედია, მათ შორის რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი, საკუთარი არჩევანის შესაბამისად.“  
მედიის თავისუფლებას „ხელი შეეწყოს და წახალისდეს ეროვნულ დონეზე... რადგან ის არის შეხედულების და გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი.“ სახელმწიფოებმა არ უნდა შეუქმნან ადამიანებს ბარიერები მედიაზე წვდომისა და გამოყენების პროცესში.

- როგორც ეს განერილია:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/ HRC/RES/22/6), OP 7.

**ანალიზი**  
ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნებისმიერი გაუმართლებელი და უხეში ქმედება, რომელთა მიზანაც არის მედიის კონტროლი და ცენზურა, არღვევს გამოხატვის თავისუფლების უფლებას. ხალხს უნდა ჰქონდეს წვდომა მედიაზე და შეეძლოს საინფორმაციო ტექნოლოგიები ან მედიასაშუალებების საკუთარი არჩევანის შესაბამისად გამოყენება. მედია არ უნდა დაექვემდებაროს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ან უხეშ კონტროლს.  
საინფორმაციო ტექნოლოგიებზე წვდომასა და გამოყენებაში გაუმართლებელი ჩარევით, სახელმწიფოები აფერხებენ ფუნდამენტური უფლებების განხორციელებას, მათ შორის არღვევენ შეხედულებისა და გამოხატვის თავისუფლებას, სიცოცხლის უფლებას და სხვა ისეთ უფლებებს, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, როგორც ეს განმარტებულია გაერო-ს შეკრებისა და გაერთიანების შესახებ სპეციალური მომხსენებლის მიერ.

**კონტექსტი**  
ზოგ ქვეყანაში ხელისუფლებებმა დაბლოკეს დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას და აშუქებდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. ხელისუფლებები ცდილობენ გათიშონ სოციალური მედია და დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, გააჩუმონ ბლოგერები და უფლებადამცველები. უფლებადამცველებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ინტერნეტი და სხვა მედიასაშუალებების გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხელშეწყობის და საჯარო დებატებში მონაწილეობისთვის. ქმედებები, რომლებიც უზღუდავს მათ მედიაში საკუთარი შეხედულებების გამოხატვას, მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე უფლებადამცველების გავლენის შემცირებას და ხალხთან მათი კონტაქტის შეზღუდვას. სახელმწიფოებმა უნდა გაითავისონ ნებისმიერი ადამიანის მხრიდან მედიაზე წვდომის და გამოყენების თავისუფლების საბოლოო შედეგი და აქტიური როლი შეასრულონ ამ პროცესის ხელშეწყობისა და წახალისებისთვის, მათ შორის გადადგან ნაბიჯები საკანონმდებლო დონეზე და შეზღუდონ ჩარევა.





# ხელი შეუწყით მშვიდობიან საპროტესტო აქციებს

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ „უფლებადამცველებმა შეძლონ საკუთარი მნიშვნელოვანი როლის შესრულება მშვიდობიანი პროტესტის სახით.“ ამისთვის, ხელისუფლებებმა ხელი უნდა შეუწყონ მშვიდობიან პროტესტს „დემონსტრაციის მონაწილეებისთვის საჭარო სივრცის გამოყოფითა და მათი დაცვით, დისკრიმინაციის გარეშე და სადაც ამის საჭიროებაა, მექარისა და ზენოლის ნებისმიერი ფორმის გარეშე.“ ამ მხრივ, არავინ უნდა დაეყვემდებაროს „ძალის გადაჭარბებით ან ძალის დისკრიმინაციულ გამოყენებას, უკანონო პატიმრობას და დაკავებას, წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, იძულებით გაუჩინარებას, სისხლის სამართლის და სამოქალაქო პროცესის დარღვევის გამო პასუხისმგებლობას, ან ასეთი ქმედებების მექარას.“ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების კონტექსტში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „ადამიანის უფლებების დარღვევებზე ანგარიშვალდებულება სასამართლო ან სხვა ეროვნული მექანიზმების საშუალებით“ და მსხვერპლებისთვის უზრუნველყონ „დახმარებასა და რეაბილიტაციამდე წვდომა.“ კანონმდებლობით გარანტირებული უნდა იყოს, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი არ იქნება გამოყენებული „ადამიანის უფლებებით სარგებლობის შემზღვევისთვის, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების, გაერთიანების და მშვიდობიანი

შეკრების შემზღვევისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სხვა უფლებების ხელშეწყობის და დაცვის მნიშვნელოვან ნაწილს.“

- როგორც ეს განერილია:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/22/6), OP 4 და OP 6.
  - 2014 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში მშვიდობიანი საპროტესტო აქციების კონტექსტში ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ (UN Doc: A/HRC/ RES/25/38), OP 4 და 19.

## ანალიზი

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რომ უზრუნველყონ სამართალდამცველი ოფიცრების მხრიდან გადამეტებული ან არაპროპორციული ძალის გამოყენების პრევენცია მშვიდობიანი აქციების დროს. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ გაუმართლებელი მეთოდების გამოყენებისგან, რომლის მიზანი იქნება საპროტესტო აქციების გამართვის უფლების უხეშად შემზღვევა, როგორცაა მაგალითად ანტიტერორისტული ან ეროვნული უსაფრთხოების ზომების მიღება. პირიქით, მათ ხელი უნდა შეუწყონ მომიტინგეებისთვის საჭარო სივრცეზე წვდომას და უზრუნველყონ აქციების თავისუფლად ჩატარება, სამართალდამცველების მხრიდან გაუმართლებელი ძალადობის გარეშე.

ქვეყნების საკანონმდებლო ჩარჩო უნდა მოიცავდეს ეფექტიან, ნათელ და გონივრულ რეგულაციებს საპროტესტო აქციების გამართვის უფლების შესახებ; შემზღვევები უნდა დაწესდეს გამონაკლის შემთხვევებში. პროტესტის გამოხატვის უფლება ეფუძნება ისეთი უფლებების აღიარებასა და დაცვას, როგორცაა გამოხატვის და შეხვედულების, გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება.

## კონტექსტი

უფლებადამცველებს აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი მშვიდობიანი და კონსტრუქციული ფორმით პროტესტის და კრიტიკის გამოხატვის უზრუნველყოფაში. თუმცა, მთავრობების ქმედებებში ჩანს სისტემური და მიზანმიმართული ტენდენცია - უფლებადამცველებსა და სამოქალაქო ჯგუფებზე თავდასხმა ისეთ პერიოდებში, როცა განსაკუთრებით საჭიროა საზოგადოების აქტიურობა, მაგალითად - არჩევნების დროს. „სახელმწიფოებმა მოახდინეს მშვიდობიანი შეკრებებში მონაწილეობისა და ორგანიზების კრიმინალიზაცია არჩევნების დროს, იმ მიზნით, რომ დააშინებენ ან სანქციებს დააკისრებენ იმ ადამიანებს,“ რომლებიც გეგმავენ მსგავს აქციებს,“ - განაცხადა გაერო-ს შეკრებისა და გაერთიანების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა.



# ებრძოლეთ დაუსჯელობას, აჩვენეთ ანგარიშვალდებულება

სახელმწიფოებმა უნდა „აღკვეთონ დაუსჯელობა ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების ან საზოგადოებრივი ინსტიტუციების წინააღმდეგ განხორციელებული ყველა თავდასხმის და მუქარის ფაქტის გამოძიების გზით.“

„უფლებადამცველების დაცვის ვალდებულება უპირველესია სახელმწიფოებისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყნებიც შეიძლება გახდნენ პასუხისმგებელი არასახელმწიფო აქტორების მიერ ჩადენილი ქმედებების გამო.“ დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა არ იქნება ეფექტიანი, თუ „უფლებადამცველების, მათ შორის მათი იურიდიული წარმომადგენლების, გაერთიანებების და უფლებადამცველების ოჯახის წევრების წინააღმდეგ ჩადენილ დარღვევებზე და ძალადობაზე პასუხისმგებელი ადამიანები არ დაისჯებიან დაუყოვნებლივ, მიუკერძოებელი გამოძიების ფარგლებში.“

- როგორც ეს განწერილია:
- 2017 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/RES/72/247), OP 7.
- 2016 წლის მარტის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/RES/31/32), OP 6.
- 2016 წლის 28 იანვრის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში (2095) OP 3 და 6.2.

## ანალიზი

დაუსჯელობასთან ბრძოლა მნიშვნელოვანია უფლებადამცველების უსაფრთხოებისთვის. არ აქვს მნიშვნელობა ინციდენტის, თავდასხმის და მუქარის ხასიათს. ყველა ასეთი ფაქტი ჯეროვნად და ბეჭითად უნდა იყოს გამოძიებული, განურჩევლად იმისა, სახელმწიფო მოხელის მიერ არის ის ჩადენილი თუ სამოქალაქო პირისგან. დამნაშავე პირები უნდა წარსდგნენ მართლმსაჯულების წინაშე. როდესაც სახელმწიფოები ვერ ახერხებენ უფლებადამცველების წინააღმდეგ არასახელმწიფო აქტორების მიერ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიან გამოძიებას, მათი პასიურობა, შესაძლოა, შეფასდეს როგორც მსგავსი ფაქტების მიმართ შემწყნარებლობა. სახელმწიფოების უმოქმედობა, დამნაშავეების მსგავსად, მათ პასუხისმგებელს ხდის ჩადენილ დანაშაულზე. სახელმწიფოებმა უფლებადამცველები უნდა უზრუნველყონ დაცვით და გარანტიებით და ადეკვატურად დაიცვან მსხვერპლები თავდასხმისგან სასამართლო პროცესების დროს, როგორცაა, მაგალითად, უფლებადამცველების მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება და მათზე თავდასხმის ფაქტების საჯაროდ დაგმობა. სახელმწიფოებმა საკუთარი სასამართლო სისტემა უნდა მოიყვანონ საერთაშორისო

სტანდარტებთან შესაბამისობაში და მართლმსაჯულების შესაბამისი ჩარჩო შექმნან. სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ნებისმიერი საშუალება, რომ ეფექტიანად ებრძოლონ დაუსჯელობას.

## კონდეფსი

ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო არსებული დაუსჯელობა განსაკუთრებული პრობლემაა. ჟურნალისტური საქმიანობის გამო პირადი უსაფრთხოება და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობა საზოგადოებაში აღვივებს რეპრესიების და თვითცენზურის შიშს. ეს ასუსტებს დემოკრატიას და მოსახლეობას ართმევს უფლებას, მიიღოს დაბალანსებული ინფორმაცია, რომელიც მათ არჩევანის გასაკეთებლად სჭირდებათ. ზოგ ქვეყანაში გაცილებით დიდია იმის შანსი, რომ უფლებადამცველი ციხეში მოხვდეს, ჟურნალისტის მკვლეელი კი დაუსჯელი დარჩეს. იქ, სადაც სახელმწიფოებს არ სურთ აღკვეთონ მსგავსი მკვლელობები, დაუსჯელობის გამო თავისუფალი პრესა კვდება.



# გაზარდეთ ბიზნესის პასუხისმგებლობა

სახელმწიფოებმა უნდა „მიიღონ შესაბამისი პოლიტიკა და კანონები“, რომ გაიზარდოს კომპანიების ანგარიშგაღებულება „უფლებადამცველების წინააღმდეგ განხორციელებული მუქარის ან თავდასხმის ფაქტებში მონაწილეობისთვის.“ არასახელმწიფო აქტორებმა, მათ შორის ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და მენარმეებმა „პატივი უნდა სცენ, ხელი შეუწყონ და ეცადონ დაიცვან ყველა ადამიანის, მათ შორის უფლებადამცველების უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები.“

ბიზნესმა უნდა „თავი აარიდოს, დაადგინოს, შეაფასოს და მოაგვაროს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლებადარღვევა პოტენციურად დაზარალებულ ჯგუფებთან მიზნობრივი კონსულტაციებით. აღნიშნული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებს.“ უფრო მეტიც, მათ უნდა „ითანამშრომლონ დახმარების დროს... გაუზიარონ საუკეთესო გამოცდილება და ჰქონდეთ კომუნიკაცია... თუ როგორ მოაგვარებენ ადამიანის უფლებების დარღვევის შედეგებს.“

ბიზნესის მხრიდან უფლებადამცველების უფლებების დარღვევებისგან დაცვის მიზნით სახელმწიფოებმა უნდა „ხელი შეუწყონ ეფექტიან პრევენციას, ანგარიშგაღებულებას, დახმარებასა და კომპენსაციას.“

როგორც ეს განერილია:

- 2017 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/ RES/72/247), OP 12.
- 2016 წლის მარტის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/31/32) OP 18 და 19.

## ანალიზი

საერთაშორისო ორგანიზაციები ურჩევენ არასახელმწიფო აქტორებს, შეაფასონ მათი საქმიანობის ზეგავლენა უფლებადამცველების საქმიანობაზე. არასახელმწიფო აქტორებმა თავი უნდა შეიკავონ და არ მიიღონ მონაწილეობა იმ თავდასხმებსა და რეპრესიებში, რომლებიც ხორციელდება უფლებადამცველების წინააღმდეგ, მათ შორის იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სარგებლობენ გამოხატვის, შეკრების, გაერთიანების თავისუფლებით და აპროტესტებენ ბიზნესის საქმიანობას ან მათ ინტერესებს.

ასეთი სიტუაციების თავიდან არიდების მიზნით, არასახელმწიფო აქტორები, მათ შორის ბიზნესკომპანიები, ადრეულ ეტაპზე უნდა ჩაერთონ უფლებადამცველებთან კონსულტაციებში. ეს უნდა მოხდეს ღია დიალოგის ფორმით, რათა დადგინდეს უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევები, შეფასდეს ისინი და მოგვარდეს, როგორც ეს განაცხადა გაერო-ს უფლებადამცველების საკითხების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა.

ამ კონტექსტში, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი

კანონმდებლობა და ჩაერთონ პროცესში ყველა ეტაპზე, რათა უზრუნველყონ ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვა.

## კონდეფსი

გარემოსდამცველები ხშირად ხელისუფლებისთვის და ბიზნესისთვის არასასიამოვნო სიმართლეს ამბობენ. ამის გამო ისინი ხშირად განიცდიან ზეწოლას სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან. ზოგ შემთხვევაში, ადგილი აქვს ოპონენტების მხრიდან მათი დემონიზების მცდელობას. მათ ხშირად უწოდებენ „განვითარების მოწინააღმდეგეებს“ ან „არაპატრიოტებს.“ გაერო-ს უფლებადამცველების საკითხების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა მოუწოდა ყველა აქტორს, „დაუყოვნებლივ და საჭაროდ მიიღონ ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომა გარემოსდამცველების მკვლელობის ანდა მათზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე და დაუყოვნებლივ დაიწყოს მათი გაძლიერების და დაცვის პოლიტიკის და მექანიზმების ამოქმედება.“

ბიზნესკომპანიები უნდა ჩაერთონ უფლებადამცველების დაცვაში; საჭარო მხარდაჭერის გამოხატვის გზით მათ აქტიური როლი უნდა შეასრულონ ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. მათ ქსელს და გავლენას მთელ მსოფლიოში შეუძლია პოლიტიკის შეცვლა. მათ არ უნდა უგულვებელყოფონ საკუთარი შესაძლებლობა, დაიცვან უფლებადამცველები.



# დაიცავით უფლებადამცველი ქალები

„უფლებადამცველების, მათ შორის უფლებადამცველი ქალების საქმიანობის პატივისცემა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების საყოველთაო დაცვისთვის.“  
სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ „ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ მათი დაცვა“ და „შექმნან უსაფრთხო სამუშაო გარემო ადამიანის უფლებების დაცვისთვის.“  
სახელმწიფოებმა უნდა ითამაშონ აქტიური როლი და „გადადგან სწორი, მტკიცე და პრაქტიკული ნაბიჯები“ უფლებადამცველი ქალების დასაცავად.

- როგორც ეს განერილია:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/22/6), OP 12.
- 2013 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (ქალები)(UN Doc: A/ RES/68/181), OP 3 და 5.
- 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/ RES/70/161), OP 14.
- 2017 წლის გაერო-ს რეზოლუციაში ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ (UN Doc: A/HRC/35/L.29).

## ანალიზი

საერთაშორისო ორგანიზაციები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, გადაჭრან უფლებადამცველი ქალების წინააღმდეგ მოქმედი დამნაშავეების დაუსჯელობის პრობლემა და უზრუნველყონ უფლებადამცველი ქალების მონაწილეობა მათი უფლებების დასაცავად ეფექტიანი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების პროცესში. რეზოლუციებში ასევე ხაზგასმულია იმ სპეციფიური ძალადობის სახეები (გენდერული ნიშნით ძალადობა, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა, თავდასხმა რეპუტაციაზე, როგორც ონლაინსიგრაცეში, ისე მის გარეთ), რომლის მსხვერპლიც უფლებადამცველი ქალები ხდებიან. თუმცა, კანონმდებლობაში მხოლოდ გენდერული ასპექტის გათვალისწინება საკმარისი არ არის. საკუთარ კანონმდებლობებში, სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ყველა საჭირო საშუალება იმისთვის, რომ მონიტორინგი გაუწიონ უფლებადამცველი ქალების დაცვის მექანიზმების განხორციელებას.

## კონდეფსი

უფლებადამცველი ქალებისთვის გამოწვევაა გენდერული უთანასწორობა, გავრცელებული სტერეოტიპები, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები და ქალების გაძლიერების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა. ისინი არიან „კაცებთან შედარებით უფრო მეტი რისკის ქვეშ, რომ გახდებიან ძალადობის და სხვადასხვა ფორმის დარღვევების, ასევე ცრურწმენის, გარიყვის და მიუღებლობის მსხვერპლი,“ - როგორც ეს განაცხადა გაერო-ს უფლებადამცველების საკითხების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა.

უფლებადამცველი ქალების მიზანდასახულობა და ჩართულობა ასახულია გაერო-ს სისტემაში, სადაც მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ქალების მარგინალიზაციის გაშუქებით და მათი უფლებების დაცვით. სულ უფრო და უფრო მეტი რეზოლუციები მზადდება უფლებადამცველი ქალების მხარდასაჭერად. ასეთი რეზოლუციები არის მყარი საფუძველი უფლებადამცველი ქალების დასაცავად.

„უფლებადამცველი ქალები იბრძვიან ორ ველზე: როგორც უფლებადამცველები და როგორც ქალები. ისინი ხშირად განიცდიან ორმაგ დისკრიმინაციას და ორმაგ ძალადობას,“ - განაცხადა უფლებადამცველმა ლარა აპარონიანმა, სომხეთის ქალთა რესურსცენტრის დირექტორმა.





# დაიცავით უფლებადამცველთა უფლებები

ადვოკატები „ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში კრიტიკულ როლს“ თამაშობენ. მათ უნდა შეეძლოს „თავიანთი ფუნქციების თავისუფლად, დამოუკიდებლად და რეპრესიების შიშის გარეშე შესრულება.“ ადვოკატების დამოუკიდებლობის გარანტიისთვის, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ „ეფექტური საკანონმდებლო, სამართალდამცავი და სხვა საჭირო ზომები,“ რათა ხელი შეუწყონ ადვოკატებს საკუთარი პროფესიული საქმიანობის სათანადოდ შესრულებაში. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი კანონმდებლობა, „რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატების დამოუკიდებელი და თვითმმართველი პროფესიული ასოციაციების შექმნას და აღიარებს მათ სასიცოცხლო როლს კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში.“

- როგორც ეს განწერილია:
- 2017 წლის ივნისის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, მოსამართლეები და მოსამართლეთა მრჩეველები და დამოუკიდებელი ადვოკატების შესახებ (UN Doc: A/HRC/RES/35/12) OP 1, 7, და 15.

## ანალიზი

უფლებადამცველი ადვოკატი არის ნებისმიერი იურისტი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევს უფლებადარღვევის მსხვერპლს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის რომელიმე პროფესიული გაერთიანების წევრი. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისთვის, მთავრობები არ უნდა ჩაერიონ ადვოკატების უფლებებში: მათ უნდა შეეძლოს წარმოადგინონ კლიენტი საკუთარი არჩევანის შესაბამისად და იმუშაონ მათ მიერვე შერჩეულ საკითხზე. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველმა ადვოკატმა სხვა ადვოკატების მსგავსად შეძლოს კლიენტთან კონფიდენციალური კომუნიკაცია. მთავრობებმა პატივი უნდა სცენ ადვოკატთა პროფესიული ორგანიზაციების დამოუკიდებლობას. უფლებადამცველი ადვოკატის პროფესიული ორგანიზაციიდან გარიცხვა უნდა მოხდეს მხოლოდ ადმინისტრაციული გზით, პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად და არა ხელისუფლების მიერ წარმოებული სადამსჯელო ოპერაციის გზით. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ადვოკატთა პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევისგან.

## კონტექსტი

უფლებადამცველი ადვოკატების წინააღმდეგ მზარდი რისკებისა და მუქარების ნეგატიური ტენდენცია დოკუმენტირებულია ანგარიშში - „რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველი ადვოკატები,“ რომელიც მოამზადა ადამიანის უფლებათა სახლების ქსელმა და ადამიანის უფლებათა სახლის ფონდმა. ამ ტენდენციას მძიმე შედეგები აქვს: უფლებადამცველ ადვოკატებს არ აქვთ საშუალება უსაფრთხოდ და ეფექტიანად იმუშაონ, მათ კლიენტებს კი არ აქვთ შესაძლებლობა, რომ დაცვის უფლებით ისარგებლონ. საზოგადოების ყველა სექტორის ლიდერებმა საჭაროდ უნდა აღიარონ უფლებადამცველი ადვოკატების მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური როლი ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობის საქმეში და თავიდან აირიდონ უფლებადამცველი ადვოკატების სტიგმატიზაცია. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ დამატებითი ზომები, რათა დაიცვან ის ადვოკატები და მოსამართლეები, რომლებიც არიან მომეტებული რისკის ქვეშ, რადგან ისინი გარდა იმისა, რომ მუშაობენ როგორც იურისტები, არიან უფლებადამცველებიც. მნიშვნელოვანია ადვოკატების და მათი დამოუკიდებლობის დაცვა ადამიანის უფლებების რეალიზებისთვის.



# დაიცავით უმცირესობების უფლებადამცველები

უმცირესობების საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველები თამაშობენ ლეგიტიმურ და მნიშვნელოვან როლს. „უმცირესობის თემის წარმომადგენლების ან განსხვავებული რწმენისა და შეხედულებების გამო უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების უფლებების დამცველი პირები და გაერთიანებები“ არ უნდა გახდნენ „სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის“ მსხვერპლნი. სახელმწიფოებმა უნდა „უმრუნველყოფონ ისეთი კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ასეთი ადამიანების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობას ან მათი უფლებადამცველი სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას.“

- როგორც ეს განწერილია:
- 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/RES/70/161), OP 15.
- 2016 წლის ივლისის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში სამოქალაქო საზოგადოების სივრცე, 1 (UN Doc: A/HRC/RES/32/31), OP 5.

## ანალიზი

ის უფლებადამცველები, რომლებიც მუშაობენ სოციალურ და კულტურულ ნორმებზე, არ ეთანხმებიან სტერეოტიპებს, განწერილ როლებს და ებრძვიან ძალაუფლების მქონე სტრუქტურებს, სხვა უფლებდამცველებთან შედარებით მომეტებული და უფრო სპეციფიკური რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ასეთ უფლებადამცველებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც იცავენ სექსუალური უმცირესობების ან ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს. მათ ხშირად ემუქრებიან და თავს ესხმიან მათი საქმიანობის გამო, როგორც ეს განაცხადა გაერო-ს უფლებადამცველების საკითხების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა. უმცირესობების უფლებადამცველებს სჭირდებათ განსაკუთრებული და გაძლიერებული დაცვა ძალადობის და დისკრიმინაციისგან. სახელმწიფოებმა უნდა გამოხატონ საჭარო მხარდაჭერა და მტკიცედ დაუპირისპირდნენ მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებს. ასეთი დანაშაულების მონაწილეების დაუსჯელობა არის „მსგავსი ძალადობის შეფარვით მხარდაჭერა“ და „ამ ჯგუფების დაცვა იქნება ეფექტიანი თუ მხოლოდ სრულყოფილი და მრავალმხრივი მიდგომა იქნება გამოიყენებული მათი სიტუაციის მიმართ,“ როგორც ეს განაცხადა გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა.

## კონტექსტი

უმცირესობების უფლებადამცველებმა, იმ მძიმე გარემოს მიუხედავად, რომელშიც ისინი მუშაობენ, წარმატებას მიაღწიეს უმცირესობების მდგომარეობის გაუმჯობესებაში და შეძლეს, რომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიემართათ უმცირესობების პრობლემებისადმი. უფლებადამცველები, რომლებიც იცავენ სექსუალური უმცირესობის

- LGBT თემს, შეიკრიბნენ და გაერთიანდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ადვოკატირების გზით მათ შეცვალეს საზოგადოებრივი აზრი. მიუხედავად ამისა, უფლებადამცველები კვლავ ხდებიან ჰომოფობიური, შანტაჟის, გამოძალგის და ცილისმწამებლური კამპანიის მსხვერპლნი, განსაკუთრებით ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში. მათზე გენოლას ახდენენ გარკვეული რელიგიური ჯგუფები, რომლებიც „მათ აცხადებენ ტრადიციული ღირებულებების საფრთხედ და ადამიანებად, რომლებიც ხელს უწყობენ ამორალური და გარყვნილი დასავლური ღირებულებების გავრცელებას,“ - განაცხადა უფლებადამცველების საკითხებში გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა. ხშირად ემუქრებიან იმ უფლებადამცველებსა და თემის ქვედა რგოლის აქტივისტებს, რომლებიც მუშაობენ თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვაზე. მუქარა ისმის არა მხოლოდ პირადად მათი, არამედ მათი ოჯახის წევრების მისამართითაც. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მიზანმიმართული და გონივრული ზომები უმცირესობების უფლებების დამცველთა დასაცავად, რომ მათ საკუთარი საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელება შეეძლოთ.



# დაიცავით უფლება— დაძვრების ოჯახის წევრები

სახელმწიფოებმა „თავი უნდა აარიდონ და უზრუნველყონ უფლებადამცველების ოჯახის წევრებისა და გაერთიანებების ადეკვატური დაცვა ნებისმიერი ძალადობის ან რეპრესიისგან.“ მათ უნდა დაგმონ ასეთი ფაქტები საჯაროდ და უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველთა ოჯახის წევრებს არ შეეზღუდოთ „ადამიანის საყოველთაო უფლებებით სარგებლობა.“

როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან უფლებადამცველების იურიდიული წარმომადგენლების, გაერთიანებების და ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და მუქარაზე, დაუყოვნებლივ უნდა „წარსდგენნ მართლმსაჯულების წინაშე, მიუკერძოებელი გამოძიების გზით.“

- როგორც ეს განწერილია:
- 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/22/6), OP 14.
  - 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/ RES/70/161) OP 5 და 9 (b).
  - 2016 წლის მარტის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/ HRC/RES/31/32) OP 6.

**ანალიზი**

უფლებადამცველის ოჯახის წევრები სარგებლობენ იმავე სტანდარტებით და დაცვის მექანიზმებით, რაც განსაზღვრულია უფლებადამცველებისთვის, რადგან ისინიც ისეთივე რისკის ქვეშ იმყოფებიან, როგორშიც უფლებადაცვით საქმიანობაში ჩართული მათი ნათესავები და ოჯახის წევრები.

სახელმწიფოები ვალდებული არიან, პატივი სცენ, დაიცვან და განახორციელონ უფლებადამცველების ოჯახის წევრების უფლებები. უფლებადამცველის ოჯახში იგულისხმება მისი მეუღლე ან პარტნიორი, ნებისმიერი ასაკის შვილი და მშობლები.

უფლებადამცველების ოჯახის წევრების წინააღმდეგ ძალადობა ან მუქარა ხშირად შურისძიების გამო ხდება. ამ ქმედების რეალური სამიზნე უფლებადამცველი და მისი საქმიანობაა. ოჯახის წევრების სამიზნედ არჩევა არის ზენოლა უფლებადამცველებზე იმისთვის, რომ აიძულონ საქმიანობის ან კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმის შეწყვეტა.

**კონტექსტი**

რეპრესიულ ქვეყნებში უფლებადამცველების ოჯახის წევრები მზარდი ზენოლის ქვეშ იმყოფებიან. ზოგ ქვეყანაში უფლებადამცველების ოჯახები ხდებიან ადმინისტრაციული და იურიდიული სამართალწარმოების სუბიექტები, რაც გულისხმობს ქონების და საბანკო ანგარიშების ჩამორთმევას, საზღვარგარეთ

გამგზავრების აკრძალვას, დიდ საშემოსავლო სანქციებს, მუქარას სამსახურებში ან საცხოვრებელი პირობების გაუარესებას და პატიმრობასაც კი.

როდესაც ხელისუფლება პირდაპირ ერევა უფლებადამცველების პირად ცხოვრებაში, ეს მათი ოჯახის წევრებისთვის მძიმე გადასატანია. უფრო მეტიც, იმ შემთხვევებში, როცა უფლებადამცველს აიძულებენ გაეცეს საფრთხეს ოჯახთან ერთად, ირღვევა მისი ოჯახის წევრების უფლებები. მაგალითად შეიძლება ავიღოთ შემთხვევა, როცა უფლებადამცველის შვილები ვედარ ახერხებენ სკოლაში სიარულს რეგულარულად.

საერთაშორისო ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამენ უფლებადამცველებთან დაკავშირებული საფრთხეების და მათი ოჯახის წევრებისთვის შექმნილი პრობლემების გამო; შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო მეტად იცავენ უფლებადამცველთა ოჯახების წევრების უფლებებს.

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ადეკვატური საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც დაიცავს უფლებადამცველების ოჯახის წევრებს და მონიტორინგს გაუწევს რეალურ ცხოვრებაში მის აღსრულებას.

# საერთაშორისო სტანდარტები რეზოლუციებში

## ხმაის ჩამონათვალი



**გაერთ-ს რეზოლუცია 22/6**  
2013 წლის აპრილი

სპონსორები: 102 ინიციატორები  
მიღებულია კონსენსუსის გზით



**გაერთ-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 70/161**  
2015 წლის დეკემბერი

სპონსორები/ინიციატორები: 73  
კი: 127  
არა: 14  
თავი შეიკავა: 11  
არ გამოცხადდა: 41



**აღამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 31/32**  
2016 წლის მარტი

სპონსორები/ინიციატორები: 61  
კი: 33  
არა: 6  
არ გამოცხადდა: 8

## ქვეყნების მიხედვით ჩამონათვალი

აღნიშნული ჩამონათვალი ნათლად აჩვენებს, რომელმა ქვეყანამ რომელ პოზიციას დაუჭირა მხარი მარცხიდან მარჯვნივ: 2013 წლის აპრილი; 2015 წლის დეკემბერი; 2016 წლის მარტი; 2017 წლის ივნისი; 2018 წლის დეკემბერი

მუქი ფერით აღნიშნულ ქვეყნებში აღამიანის უფლებათა სახლის ფონდი და აღამიანის უფლებათა სახლი არის აქტიური:

- სპონსორი/ინიციატორი
- კი ან კონსენსუსი
- არა
- თავი შეიკავა
- არ ესწრებოდა
- კენჭისყრის დროს არ იყო აღამიანის უფლებათა საბჭოს წევრი

ავღანეთი	■ ■ ■ ■ ■	ჩადი	■ ■ ■ ■ ■	საბერძნეთი	■ ■ ■ ■ ■
ალბანეთი	■ ■ ■ ■ ■	ჩილე	■ ■ ■ ■ ■	გრენალა	■ ■ ■ ■ ■
ალჟირი	■ ■ ■ ■ ■	ჩინეთი	■ ■ ■ ■ ■	გვატემალა	■ ■ ■ ■ ■
ანდორა	■ ■ ■ ■ ■	კოლუმბია	■ ■ ■ ■ ■	გვინეა	■ ■ ■ ■ ■
ანგოლა	■ ■ ■ ■ ■	კომორის კუნძულების კავშირი	■ ■ ■ ■ ■	გვინეა ბისაუ	■ ■ ■ ■ ■
ანტიგუა და ბარბუდა	■ ■ ■ ■ ■	კონგო	■ ■ ■ ■ ■	გუანა	■ ■ ■ ■ ■
არგენტინა	■ ■ ■ ■ ■	კოსტა-რიკა	■ ■ ■ ■ ■	ჰაიტი	■ ■ ■ ■ ■
<b>სომხეთი</b>	■ ■ ■ ■ ■	კოტ-დივუარი	■ ■ ■ ■ ■	ჰონდურასი	■ ■ ■ ■ ■
ავსტრალია	■ ■ ■ ■ ■	ხორვატია	■ ■ ■ ■ ■	უნგრეთი	■ ■ ■ ■ ■
ავსტრია	■ ■ ■ ■ ■	კვიპროსი	■ ■ ■ ■ ■	ისლანდია	■ ■ ■ ■ ■
<b>ამერბაიჯანი</b>	■ ■ ■ ■ ■	კუბა	■ ■ ■ ■ ■	ინდოეთი	■ ■ ■ ■ ■
ბაჰამის კუნძულები	■ ■ ■ ■ ■	ჩეხეთი	■ ■ ■ ■ ■	ინდონეზია	■ ■ ■ ■ ■
ბაჰრეინი	■ ■ ■ ■ ■	ჯიბუტი	■ ■ ■ ■ ■	ირანი	■ ■ ■ ■ ■
ბანგლადეში	■ ■ ■ ■ ■	დანია	■ ■ ■ ■ ■	ერაყი	■ ■ ■ ■ ■
ბარბადოსი	■ ■ ■ ■ ■	დომინიკა	■ ■ ■ ■ ■	ირლანდია	■ ■ ■ ■ ■
<b>ბელორუსი</b>	■ ■ ■ ■ ■	დომინიკის რესპუბლიკა	■ ■ ■ ■ ■	ისრაელი	■ ■ ■ ■ ■
<b>ბელგია</b>	■ ■ ■ ■ ■	კონგოს დემ. რესპ.	■ ■ ■ ■ ■	იტალია	■ ■ ■ ■ ■
ბელიზი	■ ■ ■ ■ ■	ალმოსავლეთ ტიმორი	■ ■ ■ ■ ■	იამაიკა	■ ■ ■ ■ ■
ბენინი	■ ■ ■ ■ ■	ეკვადორი	■ ■ ■ ■ ■	იაპონია	■ ■ ■ ■ ■
ბურუნდი	■ ■ ■ ■ ■	ეგვიპტე	■ ■ ■ ■ ■	იორდანია	■ ■ ■ ■ ■
ბოლივია	■ ■ ■ ■ ■	ელ სალვადორი	■ ■ ■ ■ ■	ყაზახეთი	■ ■ ■ ■ ■
ბოსნია-ჰერცეგოვინა	■ ■ ■ ■ ■	ეკვატორული გვინეა	■ ■ ■ ■ ■	კენია	■ ■ ■ ■ ■
ბოცვანა	■ ■ ■ ■ ■	ერითრეა	■ ■ ■ ■ ■	კირიბატი	■ ■ ■ ■ ■
ბრაზილია	■ ■ ■ ■ ■	ესტონეთი	■ ■ ■ ■ ■	ქუვეითი	■ ■ ■ ■ ■
ბრუნეი	■ ■ ■ ■ ■	ეთიოპია	■ ■ ■ ■ ■	ყირგიზეთი	■ ■ ■ ■ ■
ბულგარეთი	■ ■ ■ ■ ■	ფიჯი	■ ■ ■ ■ ■	ლაოსი	■ ■ ■ ■ ■
ბურკინა ფასო	■ ■ ■ ■ ■	ფინეთი	■ ■ ■ ■ ■	ლატვია	■ ■ ■ ■ ■
ბურუნდი	■ ■ ■ ■ ■	საფრანგეთი	■ ■ ■ ■ ■	ლიბანი	■ ■ ■ ■ ■
კამბოჯა	■ ■ ■ ■ ■	გაბონი	■ ■ ■ ■ ■	ლესოტო	■ ■ ■ ■ ■
კამერუნი	■ ■ ■ ■ ■	გამბია	■ ■ ■ ■ ■	ლიბერია	■ ■ ■ ■ ■
კანადა	■ ■ ■ ■ ■	<b>საქართველო</b>	■ ■ ■ ■ ■	ლიბია	■ ■ ■ ■ ■
კაბლ გერდეს კუნძულები	■ ■ ■ ■ ■	გერმანია	■ ■ ■ ■ ■	ლიხტენშტეინი	■ ■ ■ ■ ■
ცენტრ. აფრ. რესპ.	■ ■ ■ ■ ■	განა	■ ■ ■ ■ ■	ლიეტუვა	■ ■ ■ ■ ■



**ადამიანის უფლებათა საბჭოს  
რეგულაცია 35/12**

2017 წლის ივნისი

სპონსორები/ინიციატორები: 42  
მიღებულია კონსენსუსით



**გაერთ-ს გენერალური ასამბლეის  
რეგულაცია 35/12**

2017 წლის დეკემბერი

სპონსორები/ინიციატორები: 76  
მიღებულია კონსენსუსით

ლუქსემბურგი	■ ■ ■ ■ ■	პანამა	■ ■ ■ ■ ■	სვაზილენდი	■ ■ ■ ■ ■
მადაგასკარი	■ ■ ■ ■ ■	პარაგვაი	■ ■ ■ ■ ■	შვედეთი	■ ■ ■ ■ ■
მალავი	■ ■ ■ ■ ■	პერუ	■ ■ ■ ■ ■	შვეიცარია	■ ■ ■ ■ ■
მალაიზია	■ ■ ■ ■ ■	ფილიპინები	■ ■ ■ ■ ■	სუდანი	■ ■ ■ ■ ■
მალდივები	■ ■ ■ ■ ■	<b>პოლონეთი</b>	■ ■ ■ ■ ■	სირია	■ ■ ■ ■ ■
მალი	■ ■ ■ ■ ■	პორტუგალია	■ ■ ■ ■ ■	მაკედონია	■ ■ ■ ■ ■
მალტა	■ ■ ■ ■ ■	კატარი	■ ■ ■ ■ ■	ტაჯიკეთი	■ ■ ■ ■ ■
მარშალის კუნძულები	■ ■ ■ ■ ■	რუმინეთი	■ ■ ■ ■ ■	ტანზანია	■ ■ ■ ■ ■
მავრიტანია	■ ■ ■ ■ ■	<b>რუსეთის ფედერაცია</b>	■ ■ ■ ■ ■	ტაილანდი	■ ■ ■ ■ ■
მავრიკი	■ ■ ■ ■ ■	რუანდა	■ ■ ■ ■ ■	ტოგო	■ ■ ■ ■ ■
მექსიკა	■ ■ ■ ■ ■	წმინდა კიტსი და ნევისი	■ ■ ■ ■ ■	ტონგა	■ ■ ■ ■ ■
მიკრონეზია	■ ■ ■ ■ ■	წმინდა ლუცია	■ ■ ■ ■ ■	ტრინიდადი და ტობაგო	■ ■ ■ ■ ■
მოლდოვა	■ ■ ■ ■ ■	წმინდა ვინსენტი და გრენადინები	■ ■ ■ ■ ■	ტუნისი	■ ■ ■ ■ ■
მონაკო	■ ■ ■ ■ ■	სამოა	■ ■ ■ ■ ■	თურქეთი	■ ■ ■ ■ ■
მონტნეგრო	■ ■ ■ ■ ■	სან მარინო	■ ■ ■ ■ ■	თურქმენეთი	■ ■ ■ ■ ■
მაროკო	■ ■ ■ ■ ■	საო ტომი და პრინციპი	■ ■ ■ ■ ■	ტუვალუ	■ ■ ■ ■ ■
მოზამბიკი	■ ■ ■ ■ ■	საუდის არაბეთი	■ ■ ■ ■ ■	უგანდა	■ ■ ■ ■ ■
მიანმარი	■ ■ ■ ■ ■	სენეგალი	■ ■ ■ ■ ■	<b>უკრაინა</b>	■ ■ ■ ■ ■
ნამიბია	■ ■ ■ ■ ■	<b>სერბეთი</b>	■ ■ ■ ■ ■	არაბეთის გაერთიანებული ემირატები	■ ■ ■ ■ ■
ნაურუ	■ ■ ■ ■ ■	სეიშელის რესპუბლიკა	■ ■ ■ ■ ■	<b>გაერთიანებული სამეფო</b>	■ ■ ■ ■ ■
ნეპალი	■ ■ ■ ■ ■	სიერა ლეონე	■ ■ ■ ■ ■	ამერიკის შეერთებული შტატები	■ ■ ■ ■ ■
ჰოლანდია	■ ■ ■ ■ ■	სინგაპური	■ ■ ■ ■ ■	ურუგვაი	■ ■ ■ ■ ■
ახალი ზელანდია	■ ■ ■ ■ ■	სლოვაკეთი	■ ■ ■ ■ ■	უმბეკეთი	■ ■ ■ ■ ■
ნიკარაგუა	■ ■ ■ ■ ■	სლოვენია	■ ■ ■ ■ ■	ვანუატუ	■ ■ ■ ■ ■
ნიგერი	■ ■ ■ ■ ■	სოლომონის კუნძულები	■ ■ ■ ■ ■	ვენესუელა	■ ■ ■ ■ ■
ნიგერია	■ ■ ■ ■ ■	სომალი	■ ■ ■ ■ ■	ვიეტნამი	■ ■ ■ ■ ■
ჩრდილოეთ კორეა	■ ■ ■ ■ ■	სამხრეთ აფრიკა	■ ■ ■ ■ ■	იემენი	■ ■ ■ ■ ■
ნორვეგია	■ ■ ■ ■ ■	სამხრეთ კორეა	■ ■ ■ ■ ■	ზამბია	■ ■ ■ ■ ■
ომანი	■ ■ ■ ■ ■	სამხრეთ სუდანი	■ ■ ■ ■ ■	ზიმბაბვე	■ ■ ■ ■ ■
პაკისტანი	■ ■ ■ ■ ■	ესპანეთი	■ ■ ■ ■ ■		
პაპუა ახალი გვინეა	■ ■ ■ ■ ■	შრი ლანკა	■ ■ ■ ■ ■		
პალაუ	■ ■ ■ ■ ■	პალესტინის სახელმწიფო	■ ■ ■ ■ ■		
		სურინემი	■ ■ ■ ■ ■		

# საერთაშორისო სტანდარტები 20 წლის შემდეგ

საერთაშორისო სტანდარტები გაქვითვით

ქვითვით და ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის ჩართულობა

● უფლებადამცველობის უფლება

● საჯაროდ დაუჭირეთ მხარი უფლებადამცველებს

- არ მოახდინოთ უფლებადამცველების კრიმინალიზება
- შეწყვიტეთ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე შეზღუდვები
- თავი აარიდეთ რეგისტრაციისა და იურიდიულ შეზღუდვებს
- გაიაზიარეთ კრიტიკული მოსაზრებები
- უზრუნველყავით მედიაზე წვდომის და არჩევანის თავისუფლება
- შეწყვიტეთ ყველა სახის რეპრესიები
- დაიცავით უფლებადამცველი ქალები
- პატივი ეცით არასამთავრობო ორგანიზაციის დამოუკიდებლობას

**1998**                      **2008**                      **2011**                      **2013**

გაერო იღებს უფლებადამცველების შესახებ დეკლარაციას

ევროსაბჭო იღებს უფლებადამცველების შესახებ დეკლარაციას

გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის რეფორმის და ადამიანის უფლებათა საბჭოს შექმნის შემდეგ პირველი თემატური რეზოლუცია უფლებადამცველების შესახებ გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ, კონსენსუსის გზით, 2011 წელს მიიღო.

უფლებადამცველთა შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი მარგარეტ სეკაგია წარადგინა თავის ანგარიშს სომხეთის შესახებ

ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი მხარს უჭერს იმ რეზოლუციებს, რომლებიც გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო



ანა ლობროვოლსკაია (ახალგაზრდა უფლებადამცველების მოძრაობა, ვორონჟის ადამიანის უფლებათა სახლი ) ადამიანის უფლებათა საბჭოში საუბროს უფლებადამცველების დაცვის აუცილებლობაზე.



● ხელი შეუწყო მშვიდობიან საპროტესტო აქციებს

● შეწყვიტეთ უკანონო დაკავებები და პატიმრობები

● დაიცავით უმცირესობების უფლებადამცველები

● დაიცავით უფლებადამცველთა ოჯახის წევრები

● იბრძოლეთ დაუსჯელობის წინააღმდეგ, იყავით ანგარიშგალღებული

● გაზარდეთ ბიზნესის პასუხისმგებლობა

● დაიცავით უფლებადამცველი ადვოკატები

**2014**

ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი იწყებს საერთაშორისო სტანდარტების საილუსტრაციო კამპანიას, რათა გაზარდოს ცნობიერება უფლებადამცველების შესახებ არსებული რეზოლუციების თაობაზე.



ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი აწყობს სხვადასხვა ადამიანის უფლებათა სახლების წარმომადგენელი უფლებადამცველი ქალების ფოტოკამოფენას. ფოტო: ლეილა ცისკარიშვილის პორტრეტი (თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი) ფოტოგრაფი: დარო სულაკაური

**2015**

საერთაშორისო სამოგადოება კვლავ მტკიცედ მოითხოვს უფლებადამცველების, განსაკუთრებით კი უფლებადამცველი ქალების დაცვას. ჩინეთმა, რუსეთმა და სხვა ქვეყნებმა მხარი არ დაუჭირეს აღნიშნულ რეზოლუციას.



ლარა აპარონიანი (სომხეთის ქალთა რესურსცენტრი, ერევნის ადამიანის უფლებათა სახლი) ადამიანის უფლებათა სახლის ფონდთან ერთად ადვოკატირებას უწევს გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას; ფოტო: ფლორიან ირმინგერი

**2016**

გაერო-ს გენერალური ასამბლეა აწყობს პირველ მაღალი დონის ღონისძიებას ადამიანის უფლებებზე



მილან ანტონიევიჩი (YUCOM, ბელგრადის ადამიანის უფლებათა სახლი) საუბრობს უფლებადამცველების შესახებ გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, ფოტო: ვესნა პუსიჩი

**2017**

დეკლარაციის 20 წლისთავი ხამს უსვავს უფლებადამცველების ღირებულ როლს, ასპარეზს უხსნის ახალ, პოზიტიურ ნარატივს უფლებადამცველების შესახებ. ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი მოუწოდებს დეკლარაციის 20 წლის იუბილეზე რეზოლუციამ შეაფასოს უფლებადამცველების ღვაწლი ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის პირველად აწყობს ბრიფინგს უფლებადამცველების შესახებ ღია ცის ქვეშ დანუტა პრუვივარა (პელსინჯის ფონდი ადამიანის უფლებებისთვის) საუბრობს უფლებადამცველების საქმიანობის შესახებ გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს გახსნაზე. ტეტიანა პეჩონჩიკი (ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი, ყირიშის ადამიანის უფლებათა სახლი) ადამიანის უფლებათა სახლის ფონდთან ერთად ადვოკატირებას უწევს გაერო-ს გენერალური ასამბლეის ახალ რეზოლუციას უფლებადამცველების საკითხებზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი მიქელ ფორსტი წარადგენს მის ანგარიშს უნგრეთის შესახებ

## ჩვენი დონორები

გულწრფელ მადლობას ვუხდით ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის დონორებს და მხარდამჭერებს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალურ დეპარტამენტს, რომელთა მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა ამ ბუკლეტის გამოცემა.



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Federal Department for Foreign Affairs FDFA



**„უფლებადამცველთა უფლებების“ მიზანია გაზარდოს ცოდნა იმ საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რომლებიც იცავენ და აძლიერებენ უფლებადამცველებს.**

ეს არის პუბლიკაცია უფლებადამცველებისთვის, რათა მათ მიიღონ ინფორმაცია იმ სტანდარტების შესახებ, რომლებიც ეხება მათ საქმიანობას. უფლებადამცველებს შეუძლიათ, გამოიყენონ ეს პუბლიკაცია ეროვნულ დონეზე სტანდარტების დასამკვიდრებლად, რათა ითანამშრომლონ ხელისუფლებასთან და მოითხოვონ ხელისუფლებისგან საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ხელი შეუწყონ ეროვნულ დონეზე უფლებადამცველებისა და მათი საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ დისკუსიის ინიცირებას.

ბუკლეტი დაყოფილია 16 ნაწილად. მისი შექმნის ინიციატივის წყაროა უფლებადამცველებთან და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რეზოლუციები. ბუკლეტი მოკლედ მიმოიხილავს რეზოლუციებში ხაზგასმული სტანდარტების ყველა ძირითად ასპექტს.



ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი  
ორგანიზაციის ნომერი: 976 055 365

ოსლო (სათაო ოფისი)  
კირეგატას ქ. 5  
0153, ოსლო ნორვეგია  
hrh@humanrightshouse.org

ჟენევა  
რუე დე ვარემბე 1, საფოსტო ყუთი 35  
1211 ჟენევა 20, შვეიცარია  
geneva@humanrightshouse.org



humanrightshouse.org